შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

დაწესებულების განვითარების 7 წლიანის სტრატეგიული 2023 წლის

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.

ზუგდიდი 2023

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად გაწერილი 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. მონიტორინგის მიზანია, კოლეჯის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, უზრუნველყოს თანამშრომელთა მიერ სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანათა შესრულების ანგარიშგება. საანგარიშო პერიოდში ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და ძირითადი მიგნებებიდან გამომდინარე კოლეჯის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და ინფორმაციის შეგროვების მიზნით კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, მონიტორინგის პერიოდში, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თითოეულ პასუხისმგებელ თანამშრომელს გააცნო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფორმა, სადაც უშუალოდ პასუხისმგებელი პირები ახდენდნენ მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების სტატუსის შესახებ ანგარიშგებას. მონიტორინგის პროცესი ჩატარდა ვადების გათვალისწინებთ და მასში იყო ჩართული კოლეჯის ყველა თანამშრომელი

## შეფასება

მონიტორინგის შედეგად კოლეჯის თანამშრომლებმა წარმატებით გაართვეს თავი დასახული ამოცანების შესრულებას. სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანები სრულად შესრულდა, არ იკვეთება არც ერთი შეუსრულებელი ამოცანა, ან დაუძლეველი

დაბრკოლება. (იხილეთ დანართი N1)

| ამოცანები | | ვადები | ანგარიში | მტკიცებულება |
|---|---|---|---|---|
| მზადება ავტორიზაციისთვის, თვითშეფასების წარდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. | | 2023 წლის იანვარი 2023 წლის სექტემბერი | კოლეჯის დირექტორის ბრძანების შესაბამისად ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი , რომლებსაც მიეცათ ვადა წარმოედგინათ თვითშეფასების განაცხადი დოკუმენტაციასთან ერთად გასაგზავნად . სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა კოლეჯის ხარისხის მენეჯერი. ავტორიცაზიის სტატუსის მოპოვების მიზნით სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა 8 შეხვედრ ;<br><br>კოლეჯის ხარისხის მენეჯერის წარდგინებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გაიგზავნა თვი თშეფასების ანგარიში დოკუმენტაციასთან ერთა დ ; | თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით. |
| **სტრატეგიული მიზანი N1.** ორგანიზაციული განვითარება | | | | |
| ამოცანები | | ვადები | | |
| 1.1 | სტრატეგიული დას ამოქმედო გეგმების შემუშვება-განხორციელება-განვითარება | 2023 – 2029 წლები | **შესრულდა:** კოლეჯს შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვის, დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესსა და ეტაპებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის/შეფასების პროცესსა და შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს, ამ პროცესში ჩართული პერსონალის უფლება-მოვალეობებს, სტრატეგიული დოკუმენტების ამტკიცების/ცვლილებების წესსა და პირობებს.<br>სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს კოლეჯის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. იგი მოიცავს გრძელვადიან ხედვებსა და სტრატეგიულ მიზნებს. კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართულნი იყვნენ კოლეჯის პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, პარტნიორი დაწესებულებები და სხვა დაინტერესებული მხარეები, წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებიც სწორედ ასეთი მიდგომითაა შემუშავებული. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა | 2023 წლის 12 იანვარს დირექტორის მიერ დამტკიცებული № 01/12 ბრძანება -სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;<br><br>2023 წლის 26 იანვარს დირექტორის № 01/18 ბრძანებით დამტკიცებული, სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი), სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი); |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩაერთნენ როგორც კოლეჯის შიდა ადმინისტრაციული პერსონალი, პროგრამის განმახორციელებლები, პროფ. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ისე მოწვეული პირები (ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციებიდან, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და სხვა). 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია კვლევის, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე. მასში ასახულია დამსაქმებლების, პროფესიული განათლების სპეციალისტების, საზოგადოებისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებები. | სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;<br>ბრძანება № 01/06;<br>2023-2030[1]<br><br>სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმების და გეგმა;<br><br>მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;<br>კოლეჯის საქმიანობის წლიური ანგარიშები;<br>შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები;<br>გათავსებულია ვებ-გვერდზე www.zugdidiacademy.edu.ge |
| 1.2 | ხარისხის უზრუნველყოფა (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, განვითარება) | 2023 – 2029 წლები (საჭიროებისამებრ) | **შესრულდა-** დირექტორის ბრძანებით (№ 01/14; 16 .01. 2023 წელი) კოლეჯში დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებას და მათ განვითარებაზე ზრუნვას. კოლეჯის შიდა კვლევების სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტები/მსმენელები, პროფესიული განათლების მასწავლებლე-ბი/პროგრამის განმახორციელებელი პირები და ადმინისტრაციული პერსონალი. გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორია კი - კოლეჯის კურსდამთავრე-ბულები, პრაქტიკის განმახორციელებელი ბაზები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა. კვლევების შედეგების და შეფასების გაანალიზება ეხმარება კოლეჯს განახორციელოს მისი მოკლევადიანი და გრძლევადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. რეგულარული კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, პროგრამის განმახორციელებელი; პერსონალის/პროფესიული განათლების | დირექტორის ბრძანებით (№ 01/14; 16 .01. 2023 წელი) კოლეჯში დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექ ანიზმები“,<br><br>კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა 2023 წწ<br>. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | მასწავლებლის და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა; დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ასევე ხარისხის სამოქმედო გეგმა.<br>შემუშავებულია მატერიალური რესურსების, თუ სხვა კვლევებისთვის შეფასების ფორმები (კითხვარები), კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად ხდება გაუმჯობესების გეგმის/აქტივობების განხორციელება.<br>**შესრულდა:** კოლეჯში შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა , რაც უზრუნველყოფს ხარისხის მუშაობის განვიტარებას საანგარიშო პერიოდის შესაბამისად. | |
| **1.3** | ადამიანური რესურსების განვითარება | 2023 – 2029 წლები (საჭიროებისამებრ) | **შესრულდა**-კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას შედგენილი ფორმების შესაბამისად, კოლეჯს შემუშავებული აქვს მასწავლებელთა შეფასების ინსტრუქცია, თვითშეფასების ფორმები რაც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი გეგმის შესაბამისად (ან არაგეგმიურად რაიმე კონკრეტული საჭიროების გამოსავლენად) ახორციელებს პერსონალის კვლევას და შედეგების ანალიზით ადგენს საჭიროებებს.<br>პერსონალის განვითარება ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული კითხვარების მიხედვით. პერსონალის შეფასების მიზანია უზრუნველყოს კოლეჯის თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება და მასზე დაყრდნობით განსაზღვროს პერსონალის საჭიროების, პროფესიული განვითრების, წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების შესაბამისი აქტივობები. | „პერსონალის მართვის პოლიტიკა“<br>ბრძანება №01/13 . 13.01.2023<br>პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები;<br>პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები;<br>პერსონალის, მათ შორის მასწავლებლების განვითარების გეგმა/გეგმები;<br>პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები/მასალა;<br>განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის სტატისტიკა;<br>ღოისძიებაში მოაწილეობის ამსახველი ფოტო /მასალა, სერტიფიკატები. |

**სტრატეგიული მიზანი N2.** საგანმანათლებლო პროგრამების განვითრება

| ამოცანები | ვადები | ძირითადი ინდიკატორები და მათი სამიზნე ნიშნული | |
|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1 | ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავება,განახლება და განხორციელება შრომის ბაზრისა და მოთხოვნების გათვალისწინებით | 2023 – 2029 წლები (საჭიროებისამებრ) | **შესრულდა ;** შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით კოლეჯმა ჩაატარა მოკლევა. დოკუმენტის მომზადებისას კოლეჯმა მოიძია ქვეყნის მასშტაბით არსებული კვლევები, ასევე ჩაატარა დამსაქმებელთა გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებთ კოლჯმ<br>დადაგეგმა 4 პროგრამის განხორციელება აღმზრდელი, ბუღალტრული არრიცხვა , ფრჩხილის მომსახურება ,ინფორმაციის ტექნოლოგია, ფრჩხილის მომსახურება<br><br>**შესრულდა:** ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მოდულის განმახორციელებლების მიერ სისტემატიურად ხორციელდება კალენდარული გეგმების შემუშავება. ყველა მოდულისთვის შემუშავებულია კალენდარული გეგმები და მოდულის დაწყებამდე მიმდინარეობს მათი გადახედვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა სასწავლო ციკლი ჯერ არ დასრულებულა (,აღმზრდელი) კალენდარული გეგმები შემუშავებულია მიმდინარე და განვლილი მოდულებისთვის. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და გადახედვა მიმდინარეობდა მუდმივ რეჟიმში. მოდულის განმახორციელებლები რეგულარულად ახორციელებდნენ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას და ასევე უკვე შემუშავებული ინსტრუმენტების გადახედვასა და მათში ცვლილებების განხორციელებას. საანგარიშო პერიოდში მოდულებისთვის განახლდა შეფასების ინსტრუმენტები. მოდულის სწავლის შედეგის/შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტი თანხმდება სხვა პროგრამის ხელმძღვანელთან, ,რომლებიც წარმოადგენს შემმოწმებელას. თითოეული მოდულის ფარგლებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ხორციელდებოდა მონიტორინგი.. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარების შევსება. პრაქტიკის ობიექტებზე მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების მიერ რეგულარულად მიმდინარეობდა სასწავლო პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი. ასევე, მონიტორინგში ჩართულნი იყვნენ შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი. | • დირექტორის ბრძანებით ( № 01/13. 12.01.2023 წ) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება; დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: აღმზრდელი ბრ.N 01/36 14.03.2024 ბუღალტრული აღრიცხვა ბრN 01/37.14.03.2024 ინფორმაციის ტექნოლოგია ბრ.N 01/34.14.03.2024 ფრჩხილის მომსახურება ბრN 01/35.14.03.2024<br><br>კალენდარული გეგმები, ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენეტები, ;საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარები |
| 2.2 | მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება, განახლება, განხორციელება. | 2023 – 2029 წლები (საჭიროებისამებრ) | **შესრულდა** :შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევის ანალიზის საფუძვლად და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (N01/60.11.09.2023; N01/64 28.09.2023 ) შექმნილი ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა პროფესიული მომზადების სასერტიფიკატო პროგრამა: ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და მანიკურ პედიკურის | პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამა: ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | სპეციალისტი ,პრორამები წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.<br>**შესრულდა :** პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და გადახედვა მიმდინარეობდა მუდმივ რეჟიმში. მოდულის განმახორციელებლები რეგულარულად ახორციელებდნენ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას და ასევე უკვე შემუშავებული ინსტრუმენტების გადახედვასა და მათში ცვლილებების განხორციელებას. საანგარიშო პერიოდში პროგრამებისათვის განახლდა შეფასების ინსტრუმენტები. პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგის/შედეგების დადასტურებამდე პროგრამის განმახორციელებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტი თანხმდება პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს. თითოეული პროგრამის ფარგლებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ხორციელდდებოდა მონიტორინგი. მონიტორინგი მიმდინარეობდა უშუალოდ ლექციის მიმდინარეობისას. | პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამა: მანიკურ პედიკურის სპეციალისტი<br>დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი<br><br>პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები |
| **სტრატეგიული მიზანი N 3.** მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება | | | | |
| **ამოცანები** | | **ვადები** | **ძირითადი ინდიკატორები და მ ათი სამიზნე ნიშნული** | |
| 3.1 | ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება | 2023 – 2029 წლები (საჭიროებისამებრ) | **შესრულებულია:** აკადემიაშა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, რომელთა პროგრამული უზრუნველყოფა განაპირობებს დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული IT მომსახურეაზე ინდ.მეწარმესთან. ხელშეკრულების თანახმად IT სპეციალისტი გეგმიურად და კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე ახორციელებს IT ტექნოლოგიების მუშაობის მონიტორინგს, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას, სისტემური და პროგრამული დარღვევების აღმოფხვრას, ვირუსებისგან გაწმენდას, კომპიუტერული ტექნიკის რემონტს; კომპიუტერული ლაბორატორიების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას; პრეზენტაციებისათვის, სხვადასხვა ღონისძიებებისათვის შესაბამისი აპარატურის მომზადებას და გამართულ ფუნქციონირებას; ელექტრონული მასალების მომზადებაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისათვის და ადმინისტრაციის სხვა საშტატო ერთეულებისთვის დახმარების გაწევას; ინტერნეტის მიწოდების უზრუნველყოფას და საჭიროების შეზღუდვას, პროგრამულ გამართვას, ანტივირუსული სისტემის გამართულ მუშაობას. | ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;<br>ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);<br>IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;<br>ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;<br>დაწესებულების დომენით პერსონალისთვის ამოქმედებული |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;<br>ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის და/ან სხვა ელექტრონული სისტემა;<br>პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;<br>კოლეჯის სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა დაპროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი. |
| 3.2 | მატერიალური რესურსების განვითარება | 2023 – 2029 წლები (საჭიროებისამებრ) | **შესრულებულია:** კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით. კოლეჯში მოეწყო თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად. კოლეჯის ფართი მდებარეობს ქალაქის ცენტრში შ.კიტიას N 9 , მე-2 სართულზე და დაკავებული აქვს ფართის -405 ,6 კვ.მ. სტუდენტებისა და თარამშრომლებისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი სივრცეები: ფოიე, სადაც შესაძლებელია შენობაში მყოფი ადამიანების თავშეყრა სასწავლო აუდიტორიებში ან სხვა სივრცეებში მათ გადანაწილებამდე. თეორიული სწავლების (A გარემო); კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია /აუდიტორიები (B გარემო). პრაქტიკული კომპონეტების განხორციელება (C გარემო); ადმინისტრაციული სივრცე; სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის; კოლეჯის შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსით, უწყვეტი ინტერნეტით. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სწავლის პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსით, როგორიცაა სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფა, ქსელში ჩართული კომპიუტერები, პროექტორები, სათავსოები. ასევე, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო აუდიტორიები; სამეურნეო სამსახურის მენეჯერი სისტემატიურად ახორციელებს არსებული რესურსების მონიტორიგს და უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში | საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br><br>2023 წლის 12 იანვარს კოლეჯის დირექტორის მიერ № 01/11 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსების განკარგვის წესი; |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | შეკეთება/განახლებას. ასევე სისტემატიურად ხორციელდება ელექტრო სისტემის მონიტორინგი.<br>განახლდა ტექნიკური ქსელი კოლეჯის შიდა პერიმეტრზე, ასევე B სასწავლო გარემოს კომპიუტერული ბაზა განახლდეს 22 ერთეული კომპიუტერი ბაზით. | |
| 3.3 | საბიბლიოთეკო/საგანმანათლებლო რესურსების განვითარება | 2023 – 2029 წლები (საჭიროებისამებრ) | **შესრულდა:** საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგის შედეგად კოლეჯის ბიბლიოთეკა შეივსო წიგნადი ფონდით.<br>მთლიანობაში წიგნების რაოდენობა შეადგენს 100 ერთეულს. კოლეჯის წიგნადი ფონდის ბალანსზე აყვანის მიზნით განხორციელდა შემდეგი მოქმედება:თვითოეული შეძენილი წიგნი<br>დამუშავდა ბიბლიოთეკის წესის თანახმად და გატარდა ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნში.ასევე ელექტრონული სახით გატარდა ოუფენ ბიბლიოში,სადაც პროფესიულ სტუდენტს მოძიების შესაძლებლობა აქვს. საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგი ჩატარდა შემდეგი მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის თანამედროვე წიგნადი ფონდით გამდიდრება, გაზრდილი ნაკადის შესაბამისად სასწავლო რესურსის საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა. | განახლებული კატალოგი; ბიბლიოთეკის ფონდში ახალი დამატებითი რესურსი; |
| **სტრატეგიული მიზანი N 4.** პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები | | | | |
| **ამოცანები** | | **ვადები** | **ძირითადი ინდიკატორები და მათი სამიზნე ნიშნული** | |
| 4.1 | პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებების დაცვა | 2023 – 2029 წლები (საჭიროებისამებრ) | **შესრულდა**: საანგარიშო პერიოდში კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებისთვის ხდება ინფორმაციის მიწოდება მეილების საშუალებით და მათი ინტენსიურად ჩართვა ,როგორც პროფესიული უნარ - ჩვევების განვითარების კუთხით სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ კომპანიების მხრიდან ჩატარებულ ტრენინგებსა თუ ღონისძიებებში, ასევე იმ უნარ - ჩვევების განვითარების ხელშეწყობა როგორიცაა: ტრანსფერული უნარები ,მოტივაციის ამაღლება, კომუნიკაცი ა და სხვა . ასევე, კოლეჯის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე განთავსებულია საჭირო ინფორმაცია; სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები პროგრამების მიხედვით; ასევე ფეისბუქ ჯგუფები ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლებისთვის ; | მეილები, დახურული ჯგუფები ; პირადი სატელეფონო ზარი /შეტყობინება |
| 4.2 | პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა | 2023 – 2029 წლები (საჭიროებისამებრ) | **შესრულდა**: კოლეჯი მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან /ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;<br>კოლეჯში კარიერული მხარდაჭერისათვის ფეისბუქის გვერდზე შექმნილია სპეციალური დახურული ჯგუფი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერის დაგეგმვადა განვითარება", სადაც ქვეყნდება ინფორმაციები ახალი საწარმოების გახსნის, დასაქმების შესაძლებლობებისა და მიმდინარე ვაკანსიების შესახებ. ასევე, კოლეჯის ხელშეწყობით/ორგანიზებით ეწყობა | ვებ გვერდი ;, სოც-ქსელის ჯგუფები ;გაფორმებული ხელშეკრულება |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შეხვედრები პარტნიორი ორგანიზაციების წარმოადგენლებთან, მუნიციპალიტეტში, დამსაქმებლებთან.კოლეჯი ასევე აწყობს სასწავლო ექსკურსიებს სხვადასხვა ორგანიზაციებში. კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პროფესიული სტუდენტების სერვისებით უზრუნველყოფაზე, მათ შორის ყველა სიახლე გონივრულ ვადებში ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ინფორმაცია განთავსებულია სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში. აგრეთვე პროფესიული სტუდენტის მიერ გამოგზავნილი შეკითხვა თუ მოთხოვნა და მასზე რეაგირება ხორციელდება მეილების საშუალებით. | |
| **სტრატეგიული მიზანი N 5. უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა** | | | | |
| **ამოცანები** | | **ვადები** | | |
| 5.1. | შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა | 2023 – 2029 წლები (საჭიროებისამებრ) | **შესრულდა:** კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და გეგმა, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი უზრუნველყოფს: შრომის, სახანძრო უსაფრთხოების დაცვას, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის,წესრიგის დაცვას, არეგულირებს თუ როგორ ხდება კოლეჯში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების დახმარება გადაადგილების დროს (ასეთების არსებობის შემთხვევაში), უსაფრთხოების და წესრიგის დაცვა, საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაცია. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. შენობაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმები, განთვსებულია ცეცხლმაქრები და მანიშნებლები. კოლეჯი აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების ყველა მოთხოვნას და აღებული აქვს შესაბამისობის დოკუმენტი. | საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიცშეთანხმებულიაკომპეტენტურორგანოსთან/პირთან; დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი № 45. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეო ჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.2. | ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინფორმირება უსაფრთხოების წესების შესახებ | 2023 – 2029 წლები (საჭიროებისამებრ) | **შესრულდა**: დაწესებულება უზრუნველყოფს პერსალის მონაცემთა დაცვას. დამტკიცებულია შრომის შინაგანაწესი საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის დირექტორის მიერ 2023 წლის 11 იანვრის № 01/10 ბრძანებით. კოლეჯში პერსონალურ მონაცემთა დაცვა ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს კოლეჯის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას, დაიცვას ფიზიკური პირის უფლებები და უზრუნველყოს დამუშავების გამჭვირვალობა. პროფესიული სტუდენტის/მასწავლებლის შესახებ პირადი ინფორმაციის გაცემა შეზღუდულია. პირადი ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო, ან საავტორიზაციო მიზნებისთვის, რომელიც დასტურდება თანხმობის დოკუმენტზე ხელმოწერით. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების არსებული პრაქტიკა შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები მოიცავს თანხმობას პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. | IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;<br>ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;<br>დაწესებულების დომენით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;<br>ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის და/ან სხვა ელექტრონული სისტემა;<br>პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;<br>კოლეჯის სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა დაპროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი. |

**სტრატეგიული მიზანი N 6.** საზოგადოებასთან ურთიერთობა და სოციალური პროექტები

| ამოცანები | ვადები | | |
|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **6.1** | საზოგადოებასთან ურთიერთობა და ურთიერთ სასარგებლო კავშირების განვითარება | | კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდი www.zugdidiacademy.edu.ge www.akademiazug.ge და ოფიციალური სოციალური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100016663124766&mibextid=ZbWKw https://www.facebook.com/profile.php?id=100053094318332&mibextid=ZbWKwL წარმოადგენენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმას. კოლეჯის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი ნომერი და ელექტრონული ფოსტა, მისამართი), შესაძლებელია წერილობითი კომუნიკაცია კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ორივე პლატფორმის შემთხვევაში. კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. ატვირთულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, კატალოგი, მარეგულირებელი დოკუმენტები, ელექტრონული კაპროგრამებისა და მომზადება/გადამზადებების პროგრამების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პოლიტიკის, კოლეჯის სტრუქტურის, ისტორიის, ინკლუზიური განათლების შესახებ. ვებ-გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირი მუდმივად ტვირთავს სიახლეებს, აანონსებს შესაბამის ველში. უწყვეტად ხდება სიახლეების გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის. კოლეჯში მიმდინარე ნებისმიერი საინტერესო აქტივობის, პროექტის, მიღების გამოცხადების, ცვლილებების, სიახლეების შესახებ დაინტერესებული პირები ინფორმაციას იღებენ კოლეჯის ვებგვერდის და სოციალური ქსელის საშუალებით. ყველა ინფორმაცია ქვეყნდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. | დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება №01/13; 13.01.2023 წ) საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;<br><br>დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;<br><br>კოლეჯში მოქმედი ვებ-გვერდი ქართულ ენაზე www.zugdidiacademy.edu. www.akademiazug.ge ვებგვერდზე მარტივადაა ხელმისაწვდომი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია; საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის,სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერება შესაძლებელია ვებ-გვერდსა და სოც. ქსელის გვერდზე; |
| **6.2** | საზოგადოებასთან ურთიერთობა და ურთიერთ სასარგებლო კავშირების განვითარება | 2023 – 2029 წლები (საჭიროებისამებრ) | კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდი www.zugdidiacademy.edu.ge www.akademiazug.ge და ოფიციალური სოციალური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100016663124766&mibextid=ZbWKw https://www.facebook.com/profile.php?id=100053094318332&mibextid=ZbWKwL წარმოადგენენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმას. კოლეჯის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი ნომერი და ელექტრონული ფოსტა, მისამართი), შესაძლებელია წერილობითი კომუნიკაცია კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ორივე პლატფორმის შემთხვევაში. კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. ატვირთულია სტრატეგიული და სამოქმედო | დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება №01/13; 13.01.2023 წ) საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;<br><br>დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;<br><br>კოლეჯში მოქმედი ვებ-გვერდი ქართულ ენაზე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | გეგმები, კატალოგი, მარეგულირებელი დოკუმენტები, ელექტრონული კაპროგრამებისა და მომზადება/გადამზადებების პროგრამების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პოლიტიკის, კოლეჯის სტრუქტურის, ისტორიის, ინკლუზიური განათლების შესახებ. ვებ-გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირი მუდმივად ტვირთავს სიახლეებს, აანონსებს შესაბამის ველში. უწყვეტად ხდება სიახლეების გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის. კოლეჯში მიმდინარე ნებისმეირი საინტერესო აქტივობის, პროექტის, მიღების გამოცხადების, ცვლილებების, სიახლეების შესახებ დაინტერესებული პირები ინფორმაციას იღებენ კოლეჯის ვებგვერდის და სოციალური ქსელის საშუალებით. ყველა ინფორმაცია ქვეყნდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. | www.zugdidiacademy.edu.<br>www.akademiazug.ge<br>ვებგვერდზე მარტივადაა ხელმისაწვდომი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია;<br>საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის,სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერება შესაძლებელია ვებ-გვერდსა და სოც. ქსელის გვერდზე; |